# სახალხო გაზეთი

№ 574 შაბათი, 14 აპრილი, 1912 წ. № 574

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 20 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის:
ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი
№ 12-29.

**გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.**
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

დღევანდელ ნომერს დამატებად მოსდევს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლის განაწილება. (1—1206—1)

კვლავ ვაცხადებთ, რომ
„სახალხო გაზეთს“
ფულის მიღების უფლებით, არავითარი აგენტი არსად არა ჰყავს, გარდა წ.-კ. საზ. მთავარ მაღაზიისა,
და ამიტომ პასუხსაც არავის წინაშე არ აგებს.
„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.
|სურათებიანი დამატება|
მიიღება ხელის-მოწერა
წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს **გრდემლს.**
აპრილიდან წლის ბოლომდე ღირს 6 მ. 75 კ.
ერთი თვით 75 კაპ.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

### თ. ჯამბაკურ დავითის ძე გურიელის

გარდაცვალების შემდეგ მეორმოცე დღეს დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად ქ. ქუთაისში საფიჩხიის ეკლესიაში, შაბათს, 14 აპრილს, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დები, ძმები, დისწულები და ძმისწული განსვენებულისა. (3—1198—3)

შაბათს, 14 აპრილს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

### კორნილე |ნელიკო| კასრაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობრებს განსვენებულის **დედა, დები და ძმანი.** (2—1202—2)

13 აპრილს, დილით, ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა **ლანჩხუთში კიევის უნივერსიტეტის სტუდენტი**

### დომენტი |იუსტინე| ნიკოლოზის ძე ურუშაძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **მამა ნიკოლოზ გიგოს ძე, დედა ფედოსია, ძმები: კირილე, სამსონ, რომანოზ, სერგო და შუტუ ურუშაძეები.** ცხედრის გამოსვენება და დაკრძალვა დ. ლანჩხუთში, კვირას, 15 აპრილს, წმიდა გიორგის ეკლესიაში. (2.366.1)

**ბარბარე იოსების ასული შვილებითურთ, ნატალია გრიგოლის ასული, ეკატერინე ივანეს ასული, გიორგი ივანეს ძე და სიმონ ივანეს ძე გძელიშვილები** დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქ. ხარკოვში უეცრივ გარდაიცვალა მეუღლე პირველისა, შვილი მეორისა და ძმა დანარჩენებისა, მეორე გიმნაზიის ლათინურ და ბერძნულ ენების მასწავლებელი

### ალექსანდრე ივანეს ძე გძელიშვილი.

პანაშვიდი დანიშნულია ქვაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში შაბათს, 14 ამ თვისას, 2 საათზე, ხოლო წირვა და პანაშვიდი კვირას, 15-ს ამ თვისას ვაჟების მეორე გიმნაზიის საყდარში, ველიკოკნიაჟესკაია ქუჩა, სახლი მეორე გიმნაზიისა. (1.367.1)

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**
**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**
შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1534—200)

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
**მიხ. გედევანიშვილისა**
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—32).

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.
მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ.**, № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—15)

**ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი**
**ტფ. მასწავლებელ ქალთა საზოგადოება** კვირას, 15 აპრილს, გამართავს სალიტერატურო-სამუსიკო დილას, შემდეგი პროგრამით:
I განყოფილება. ✦ ლექცია ილია ნაკაშიძისა ✦ (ქართულად):

### ეგნატე ნინოშვილი

შინაარსი: მხატვრული მწერლობის მნიშვნელობა კაცობრიობის ცხოვრებასა და ისტორიაში. ნამდვილი ხელოვნების საფუძველი. ე. ნინოშვილის ნაწერების განხილვა ნამდვილი ხელოვნების თვალსაზრისით. ე. ნინოშვილის მოთხრობების საზოგადოებრივი მნიშვნელობა. კაცთ-მოყვარეობა, როგორც საფუძველი მწერლის შემოქმედებისა. ე. ნინოშვილის მოღვაწეობის მნიშვნელობა ქართულ ცხოვრებასა და მწერლობაში.

მეორე და მესამე განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ—ყოფილი ადიუნქტ-პროფესორი მოსკოვის კონსერვატორიისა ფ. კ. ვილშაუ (დაუკრავს როიალზე), ქ-ნები რონელი-პიასეცკისა, ცაცა ამირეჯიბი, ო. ლეჟავა, მ. შავერზაშვილი; ბ-ნები: დანოვსკი, ტარასევიჩი, ქუჩიშვილი, გრიშაშვილი, ანდრონი, მჭედლიშვილი, წულაძე, ადგილ. ფასი 5 კაპ.—50 კ.-მდე. დასაწყისი დილის 12 ნახ. საათზე. ბილეთები იყიდება: წ. კ. საზოგადოების კანტორაში, მასწავლებელ ქალთა კანტორაში და „ნაკადულის“ რედაქციაში. შემოსავალი მოხმარდება ავლაბრისა და ნავთლუღის ღარიბ ქართულ სკოლებს. (3.1303.2)

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.
**კვირას, 15 აპრილს,**
ახალგაზრდა მსახიობი **დ. მგალობლიშვილი** ქართ. მსახიობთა ამხანაგ. მიერ გამართავს წარმოდგენას, წარმოდგენილი იქნება
**დ. ერისთავის** ცნობილი ისტორიული პიესა **სამშობლო,** ისტორ. დრამ. 5 მოქმედებად.
უმთავრეს როლებს შეასრულებენ: ლიონიძე—გუნია, შაჰაბაზ—იმხნელი, ქეთევან—ქილარჯიშვილი, ხიმშიაშვილი—მგალობლიშვილი, ფაიხოშ—ტ. აბაშიძე. მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ტ. აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, ქილარჯიშვილი, ბ-ნნი იმხნელი, გუნია, მესხი, მატარაძე, ჟივიძე, მგალობლიშვილი, ციციშვილი, საფაროვი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
**დასაწყ. საღ. 8½ ს.** ✦ ადმინ. **იორდანიშვილი,** რეჟ. **გუნია.** (3.1199.2)

**ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახ. სახლი.**
**შაბათს, 14 აპრილს,** სახ. სახ. არს. წარმოდგ. მმართველ წრის მიერ
ასიკო ცაგარლის გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების გამო
წარმოდგენილი იქნება **რაც გინახავს, ველარ ნახავ** კომ. 3 მოქ. ა. ცაგარლისა.
წარმოდგენის წინ **ბ. ახრახაძე წაიკითხავს ასიკო ცაგარლის ბიოგრაფიას.**
მონაწილეობენ ქ-ნნი: ზუქანოვი, ბადრიძე, გოდერძი, ქართველიშვილი, ბ-ნნი ანაშვილი, ნ. გოცირიძე, ინაშვილი, შ. ხონელი, სანდალა, რომანიშვილი, მეტრეველი, დ. ხაჭრაძე, ფრონის-პირელი, პიაფრელი, პანკვეტაძე, ხახანაშვილი და სხვ. ✦ ბილ. იყიდება თეატ. კასაში დილის 12—2 და საღ. 6—8 ს. ადგილების ფასი 5—50 კ. **დასაწ. საღ. 8 ს.**
შემდეგი წარ. 18, 22 და 27 აპრ. წარ. იქნება მსხვერპლი, კრისტინე, ჟალატი.
(2.174.2) რეჟ. **ალ. წუწუნავა,** ადმ. **ს. ჯულელი,** მორ. წევრი გამგ. **ა. ჭიაბერიშვილი.**

შეიძლება დაკვეთა:
☞ **ილია ჭავჭავაძის თხზულებანი** ☜
**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**
წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა
**ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები,**
(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთვება მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.
**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.
წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**
**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და ბ. ოცხელთან.**
**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.** ✦ **თელავში—თამარა აბაშიძესთან.**
**სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.** ✦ **ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** ✦ **ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
**ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** (3—1153—3)

### დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

სთხოვს **დუშეთის მაზრის თავად-აზნაურობას, მობრძანდნენ** მიმდინარე წლის 22 აპრილს, შუადღის 12 საათზე, **ტფილისში** ჩვეულებრივ სამაზრო კრებაზე დასასწრებლად, ტფილისის გუბ. თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში. იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც საარჩევნო ცენზი აქვთ და აგრეთვე ცენზი სათავად-აზნაურო საქმეებში მონაწილეობისა, კეთილ ინებონ და საამისო დამადასტურებელი საბუთები წარმოადგინონ. (2.1205.1)

### ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**
**ტელეფონი № 590.**
**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავადმყოფ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.<br>**დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.<br>**მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| სადოსტაქრო (ქირურგ.) | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| საშობიარო-ქალთა სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**სულხკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვების ავადმყოფ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულებ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.<br>**დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**თრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალის ექ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½. |
| კან. ვენ. ექ. | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—313)

გამოვიდა და იყიდება
ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების
**წიგნის მაღაზიაში**
ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების
**სალიტერატურო კრებული**
**„გრდემლი“**
ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.56)

**ყურადღება!**
თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,
**ყურადღება მიაქციონ**
**ახლად გამოსულ პაპიროსებს**
**„ირის“,**
25 ცალი 15 კ. ? 10 ც.—6 კ.
**საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა,**
ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.
**ყველგან იყიდება.**
თამბაქ. ქარხანა
**„ძმ. სეილანოვები“.**
ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42.
(100.1036.19)

ტფილისი

ქუთაისი
შუაგულ ქუთაისში, „მწვანე ბაზარში“, ახლად გაიხსნა
**ლამაზად გაკეთებული და მორთული**
**პირველ-ხარისხოვანი სასტუმრო**
**„ბრისტოლი“,** მშვენიერი ფოიეთი, სამკითხველოთი და ელექტრონის განათებით. სასტუმროსთან მოწყობილია **საუკეთესო სამზარეულო,** სადაც მზადდება ყოველ დღე **ახალი გემრიელი საჭმელები.**
**ფასები ზომიერია.** ქუთაისი (25.1194.2)
ქუთაისი ქუთაისი

ქუთაისში
● **ახალ ჭურჭლეულ-ავეჯეულობის მაღაზიაში** ●
**ფ. ს. ფილიპპოვისა,**
ალექსანდროვ. ქ., ზ. კოკოჩაევის შენობაში, ელექტრო-თეატრი „თამარის“ გვერდით.
**საზოგადოების სურვილით**
**გრძელდება იშვიათი იაფ-ფასიანი ვაჭრობა**
**აპრილის დამლევამდე.** ფასები ნაღდზედ და შეუვაჭრებლად.
(25.1187.7) პატივისცემით **ფ. ს. ფილიპპოვი.**
ქუთაისში ქუთაისი ქუთაისი

### ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

სთხოვს ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურობას **მობრძანდნენ** მიმდინარე წლის 22 აპრილს, შუადღის 12 საათზე, **ტფილისში** ჩვეულებრივ სამაზრო კრებაზე დასასწრებლად **დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში.**
იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც აქვთ საარჩევნო ცენზი და აგრეთვე ცენზი თავად-აზნაურთა საქმეებში მონაწილეობისა, კეთილ ინებონ და საამისო დამადასტურებელი საბუთები წარმოადგინონ. (2.1204.1)

**საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ გაიხსნა ახალ პატრონთა ხელში გადასული** ✦
☞ **კაფე-პარიზი** ☜
ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.
**ღია იქნება ღამის 2 საათამდე**
11—1 საათ. ✦ 1—5 ს. ✦ 5—2 ს
**საუზმე**—30 კ. ✦ **სადილი.** ✦ **ვახშამი**—30 კ.
**ყოველ დღე:** ღომი ღომით, საცივი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმელები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი **ბილიარდები გოცისა.** საჭმელებს სახლებშიაც ვამლევთ თვიურად, დიდის შეღავათით.
(თ.—113—30)

**საგურთალოზე**
**მშვენიერ ალაგას,**
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად **დაიჰრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ საჟენი 80 კ.-დან.**
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 281)

**შპალიერი**
**ძმ. ტარნოპოლთა**
**ქარხნისა.**
**ტფილისის განყოფილება.**
იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., **ტელეფ.** № 355.
**საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც
**საქარხნო ფასებში იყიდება,**
თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში.
შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.1159.8)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ

დოქტორი მედიცინისა
### ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 145)

გამოცდილმა
მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. მიღება პირობებით: გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხზე, საბებო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატექნიკო სასწავლებლისთვის. აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, სამოქალაქო და სატექნიკო სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე, ყველა კლასის ჩინისთვის. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც პანსიონში.

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памяти. Воронцову).

(თ. 1084.137)

ვაგზლის კერძო
სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ხ. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,
ა. ნ. დიხამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
ბ. ა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.
შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606" -

(წლ.—1018—251)

ექიმი კბილისა არჩილ (გიორგი) ბ-ძე დოლიძე იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.
რკინის გზის სამმართველოსთან, ელისაბედის ქუჩა № 166. (25.1179.15)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ვადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—72.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა ვ. ა. ძაჯაია იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—71)

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—139).

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები), ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.91).

ექიმი კბილისა ნიკო რცხილაძე მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

# ტფილისი, 14 აპრილი

**ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის გარშემო.**

ჩვენი მკითხველი ჯერ დეპეშიდანაც გაიგებდა და ეხლა კი დღევანდელ ნომერში მოთავსებულ წერილიდანაც, რომ ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლიდან სრულიად მოულოდნელად რამდენიმე ქართველი მასწავლებელი ქალი დაითხოვეს. ეს რამდენიმე ხანია ხსენებულ სასწავლებელში რაღაც არა ჩვეულებრივი ხდება, მაგრამ უწყება სდუმს და კანცელიარიის საშუალებით აკეთებს საქმეს. მაგრამ საკანცელარიო მიწერ-მოწერა საკმარისი არ არის იქ, სადაც დრამა ტრიალებს. ჯერ იყო და მოხუცებულმა ინსპეკტორმა ლოლობერიძემ თავი მოიკლა, ეხლა კი რამდენიმე მასწავლებელი დაითხოვეს. სჩანს, წმ. ნინოს სასწავლებელში ისეთი რაღაც ჰხდება, რაც უწყების განსაკუთრებულ გულისწყრომას იწვევს. მიუხედავად ამისა საზოგადოებამ მაინც არაფერი იცის. საიდუმლოებითაა მოცული ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის ამბები. სწორედ ეს საიდუმლოებაა, საზოგადოებაში რომ ათასნაირ მითქმა-მოთქმასა და გაკვირვებას იწვევს. რამ გამოიწვია ასეთი სასტიკი სასჯელი? ყოვლად შეუძლებელია მთელი ჯგუფი მასწავლებლებისა დაითხოვონ, და საზოგადოებამ არც კი იცოდეს, რა დანაშაულობა მიუძღვით მათ! ოფიციალურ იურისდიქციის თვალსაზრითაც კი სასჯელს მხოლოდ სასჯელისთვის არ აყენებენ, მას აღმზრდელობითი მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს. რა აღმზრდელობითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს სასჯელს, როდესაც დანაშაულობა არავინ იცის? საზოგადოებას სრული ზნეობრივი უფლება აქვს მოითხოვოს, რომ აუხსნან, რა მიაჩნია უწყებას დანაშაულობად, რისთვისა სდევნის მასწავლებლებს. კორესპონდენტი გვატყობინებს, ერთი დათხოვნილი მასწავლებელი ქალი 27 წელიწადი მსახურებდა წმ. ნინოს სასწავლებელშიო. 27 წლის განმავლობაში ქალი პირ-ნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას, და ეხლა რა მოხდა, როგორ გამოიცვალა, ან ისეთი რა ჩაიდინა, რომ უწყების ასეთი შეუბრალებელი გულის-წყრომა დაიმსახურა? სასჯელს მხოლოდ მაშინ მიეცემა ავტორიტეტული ძალა და მნიშვნელობა, მხოლოდ მაშინ მოახდენს სათანადო ზედგავლენას საზოგადოებაზე, როდესაც ნათელი და ყველასათვის აუცილებელია დანაშაული, რომელიც სასჯელს იწვევს. ამიტომ მართალი იქნება საზოგადოება, თუ მოითხოვს, რომ ამ სამწუხარო მოვლენას ფარდა აეხადოს და ყველამ დაინახოს, რა დანაშაულობა მიუძღვის სასწავლებლიდან დათხოვნილ მასწავლებელ ქალებს, რად ისჯებიან...

# სახელმწიფო სათათბირო

## დეპეშები

**თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.**

განაგრძობენ უბედურ შემთხვევის გამო დასახიჩრებულ რკინის გზის მემანქანეთა, მუშათა და სხვა მოსამსახურეთათვის ფულის მიცემის კანონ-პროექტის განხილვას.

**პეტროვი** მე-3 და **პრედკალნი** აღნიშნავენ, კანონ-პროექტი ამ საქმისათვის მოსაწყობ კომიტეტებში ცოტა ადგილს უთმობს მუშათა წარმომადგენლებსაო. პრედკალნმა აღნიშნა ბევრი ნაკლი კანონ-პროექტისა: მისაცემი ფული ძალიან ცოტაა, ერთის წლის ჯამაგირს მაინც უნდა უდრიდესო.

**დობროვოლსკი** ვრცლად უპასუხებს მინისტრის თანაშემწეს და აღნიშნავს, კანონ-პროექტი ეხლანდელ კანონთან შედარებით, აუარესებს მუშათა მდგომარეობასაო. კადეტები შევებრძოლებით ყველა ნაკლსა და რამდენიმე შესწორება შეგვაქვსო.

**ვოლოდიმეროვი.** კადეტები წინააღმდეგნი არიან კანონ-პროექტისა, რადგანაც ვექილებს საქმეებს შეუმცირებს და კადეტთა პარტია ხომ ვექილებითაა სავსეო. მემარცხენეებს სულ სხვა მუცლის გვრემა აქვთ, მათ არა ჰსურთ კანონ-პროექტის კანონად გადაქცევა და უნდათ რკინის გზაზე ყოველთვის ნიადაგი იყოს სარევოლიუციო მოქმედებისა და გაფიცვათათვის.

**კუზნეცოვი.** მთავრობას რომ რკინის გზის მოსამსახურენი მართლა გმირებად მიაჩნდეს, როგორც ეს მინისტრის თანაშემწემ დაახასიათა, მაშინ წლიურ ჯამაგირის მხოლოდ ორ მესამედს არ შესთავაზებდაო.

**გერასიმოვიც** იმას ამბობს, კანონ-პროექტი მუშათა მდგომარეობას აუარესებსო. რკინის გზაზე მომხდარი ყველა უბედურება მთლად უნდა ჰზღოთ ხოლმე, შეუძლებელია რკინის გზის მოსამსახურეთა დაყოფა ორ ჯგუფად—ბედნიერებად და უბედურებად. პირველთ შემოსავლის მხოლოდ ერთ მეოთხედს დაუკლებენ და მეორეთ ერთს მესამედსა.

**გზათა მინისტრის თანაშემწე უპასუხებს გერასიმოვს:** კანონ-პროექტი ყველა დასახიჩრებულისათვის დახმარებას აწესებსო. თუ დასახიჩრებულს ვერ დააკმაყოფილებს გადაწყვეტილი ფული და მეტის მიღებას მოინდომებს, შეუძლიან სასამართლოში იჩივლოს და ამისათვის არც ძვირი ფული დაეკარგებაო. ბოლოს მინისტრის თანაშემწე აღნიშნავს: არსებული კანონი ახალთან შედარებით, შეუბრალებელია, ახალი ბევრად უფრო ჰუმანიურიაო (ცენტრელებისა და მემარჯვენეების ტაში).

**ბარონი მეიენდორფი.** მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟისას, გერმანიის სოციალ-დემოკრატია მუშათა დაზღვევის იდეის წინააღმდეგი იყო, ეხლა კი დარწმუნდა მის სიკეთეზე და უფრო ბევრს მოითხოვს. რასაც გვაძლევენ, უნდა ავიღოთ, ეს საძირკველი იქნება მომავლის შენობისა.

საზოგადო კამათი გათავდა. გადასწყვიტეს პროექტის მუხლობრივად განხილვა. კადეტებმა შეიტანეს ფორმულა, რომელიც მოითხოვს, უეჭველად შემუშავებულ იქმნეს კანონ-პროექტი იმ მუშათა დახმარების აღმოჩენისა, ვისაც საპროფესიო ავადმყოფობა გასჩენია და მუშაობის უნარი აღარ შესწევსო. სათათბირომ ეს ფორმულა მიიღო.

პირველ მუხლის გამო ლაპარაკობს **მასლენიკოვი** და წინააღმდეგია მუშათა დანაწილებისა.

**დობროვოლსკი.** მოითხოვს მუშათა ნაწილებს დაურთეთ სხვა მოსამსახურეთა კატეგორიებიცაო.

**კუზნეცოვს** ზედმეტად მიაჩნია კატეგორიათა ჩამოთვლა, კანონი ყველა მოსამსახურეს უნდა ეხებოდესო.

სოციალ-დემოკრატთა, „შრომის ჯგუფელთა" და კადეტთა წინადადება უარჰყვეს.

პირველი მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს.

მუხლთა უმრავლესობა 36 მუხლამდე სათათბირომ მომხსენებლის ბარონ ტიზენჰაუზენის დანასკვითა და კომისიის რედაქციით მიიღო.

სამ მუხლთა შესახებ მიიღეს შესწორება კადეტებისა.

დაგვიანების გამო კანონ-პროექტის განხილვა სხვა დროისათვის გადასდეს. შემდეგ თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა **როძიანკომ.**

კითხულობენ სწრაფად განსახილველ შეკითხვას, მიმართულს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და შინაგან საქმეთა მინისტრისადმი. შემკითხველნი ამბობენ: იცის თუ არა სამინისტრომ, რა უკანონობას სჩადიან ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენელნი მომავალ არჩევნების გამო, თუ როგორ ზღუდვენ არჩევნების თავისუფლებასა და თავს იმართლებენ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებითაო.

**პეტროვი მე-3 და ვოილოშნიკოვი** იცავენ შეკითხვის სწრაფად განხილვის საჭიროებას. შეკითხვა ყოველ მხრივ დასაბუთებულია და თუ მესამე სათათბიროს ამომრჩეველთა სამართლისა არ ეშინიან, თუ ადმინისტრაციის დახმარება არ ესაჭიროება, უეჭველად მიიღებს შეკითხვასაო.

**ვოლოდიმიროვი** წინააღმდეგია შეკითხვის მიღებისა. იგი დამყარებულია მარტოოდენ გაზეთების ცნობაზე და მემარჯვენეები ვერ მივემხრობით შეკითხვასაო.

**როდიჩევი.** თუ მესამე სათათბიროს ელემენტარული ზრდილობა მაინც შერჩენია, უეჭველად უნდა მიიღოს შეკითხვა. თუ არჩევნები თავისუფლად არ იწარმოებს, სჯობია მთლად დავანებოთ თავი, თუ გსურთ პატიოსანი და არა შემარცხვენელი არჩევნები მოხდეს, თუ სახელი მიგაჩნიათ რამე, არ უნდა დაასამაროთ შეკითხვა, და თუ სწრაფად განხილვას ვერა, ვადის დანიშვნის საჭიროება მაინც აღიარეთო.

118 ხმით 69 წინააღმდეგ სწრაფად განხილვის საჭიროება უარჰყვეს და კომისიას მოხსენების წარსადგენად ერთი კვირის ვადა მისცეს.

შემდეგი სხდომა პარასკევს მოხდა.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **„თეთრ ყვავილის დღესასწაულს"**, როგორც ვწერდით, ჭლექთან მებრძოლი საზოგადოება ტფილისში წელსაც, 20 აპრილს. ჰმართავს. ქალაქის ყოველ უბანში გაიყიდება „თეთრი ყვავილი" და წიგნაკები ჭლექის შესახებ. დღესასწაულის მომწყობლებად მანდილოსანი ქალები იქნებიან: 1 უბანში—ქ-ნი ასსეევისა და პრინცესა კაჯარო, მე-2 უბანში—მ. პ. ვატაცისა და ნ. ი. ფლეიშერისა, მე-3—ო. კ. ჩერნიავსკისა და კ. ფ. ხატისოვისა, მე-4—ე. ა. ავთანდილოვისა, მე-5—ე. მ. ადელხანოვისა, მე-6—ა. ი. მეშლიავსკისა, მე-7 და 8—ე. დ. ოზეროვისა და ლ. მ. მონინისა, მე-9 და 10—ა. ნ. მეშლიავსკისა მე-11 და 12—ბარონესა როოპი და ქ-ნი პუშკარევისა.

✦ **დეპუტაცია** ქალაქის საბჭოსი კავკასიის ნამესტნიკს ამ დღეებში წარუდგება.

✦ **საქალაქო საავადმყოფო ათაშანგიანთათვის** პირველ მაისიდან დაიხურება საავადმყოფოს ახალ შენობის დასრულებამდე. ამბულატორია დროებით გადატანილ იქმნება ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში, ხოლო ავადმყოფებს მიხეილის საავადმყოფოში მოათავსებენ. ახალ შენობის აგება ორს თვეს დასრულდება.

✦ **ქალაქის გამგეობის საიურისკონსულტო ნაწილი** გამგეობის ახალ წევრს მ. ნ. ათაბეგოვს ჩააბარეს.

✦ **ქალაქის იურისკონსულტის ადგილი** ამ ჟამად თავისუფალია. ამ ალაგს 15 პირი თხოულობს. მთხოვნელთა შორის პეტერბურგელნიც არიან.

✦ **კნეინა მარიამ ვახტანგის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანისამ** ახლად გარდაცვალებულის თავ. ზაქარია გიორგის ძის ერისთავის ცხედრის გვირგვინის შემკობის მაგიერ შესწირა 25 მან. ამას წინად დაარსებულ საზოგადოებას, რომელსაც მიზნად აქვს უფასო სასადილოს მოწყობა ტფილისის ქართულ გიმნაზიასთან.

✦ დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ქ. ხარკოვში უეცრივ გარდაცვლილა ტფილისის მეორე ვაჟების **გიმნაზიის მასწავლებელი ფილოლოგი ალექსანდრე ივანეს ძე გძელიშვილი.** განსვენებული ამ სამი კვირის წინად გაემგზავრა ხარკოვს უნივერსიტეტში სამეცადინოდ და ახლად დაწესებულ სამინისტრო მასწავლებლის [illegible] მისაღებად. ა. ი. გძელიშვილი [illegible] ახალგაზდა [illegible] და კარგ მასწავლებლად ითვლებოდა. რამდენისამე წლის წინად ის ასწავლიდა ლათინურს ენას ქართულს სათავად-აზნაურო გიმნაზიაში.

✦ **რედაქციამ მიიღო** სამეურნეო ჟურნალ „**მოსავლის**" მეშვიდე ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია: **ვ. რცხილაძის** „სანატრელი ქვეყანა", ვ. გულბაათიშვილის იონჯა, მ. თაქთაქიშვილის—ჯეჯილის მოვლა, პროფ. გენრის—კვება და საკვები.

✦ **ახალი ჟურნალი.** დღეიდან ტფილისში რუსულ ენაზე ახალი კვირეული ჟურნალი გამოდის სახელად: „კავკაზსკაია ნედელია" (კავკასიის კვირა) ჟურნალში მოთავსებული იქნება სურათები და კარიკატურები. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ: ა. ი. ხატისოვი, ნ. ს. დერჟავინი, ი. ს. სპენდიაროვი, მ. ა. ჯაბარი, გ. ქ-ლი, კ. ყიფიანი და სხვანი.

✦ **ლექციები.** 15 აპრილს შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი სახალხო სახლში ქართულს ენაზე ლექციას წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „ოჯახი, როგორც საზოგადო გამოხატულება". ლექცია დაიწყება დილის 10½ საათზე.

— 15 აპრილს, ნაშუადღევს 1 საათზე ნაძალადევის თეატრში ივ. გომართელი ქართულად ლექციას წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „ჭლექი და ათაშანგი".

✦ წარსულ მარტის განმავლობაში ქალაქის კასაში მსხვილ საქონლის დაკვლისა 3,527 მან. 88 კ. შესულა.

✦ **რეფერატი.** დღეს საზოგადო კლუბში ტ. კ. მარქარიანი რეფერატს წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „მოსწავლეთა ნებაათ-ყოფლობის უქონლობა და მასთან ბრძოლა". რეფერატის შემდეგ საუბარი გაიმართება. ბოლოს სალიტერატურო და სამუსიკო განყოფილება მოჰყვება.

✦ **ბოროტმოქმედებათა რიცხვი.** წარსულ მარტის განმავლობაში ტფილისში 160 ბოროტმოქმედება მომხდარა. შეუპყრიათ: ბოროტმოქმედების ადგილას—138 კაცი, ეჭვით—40, წინანდელ დანაშაულისთვის—7 და ორიც ადმინისტრატიულად გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული.

✦ **ხორცის ახალი ნიხრი** გუბერნატორმა დაამტკიცა. გირვანქა ხორცი ჰღირს: ძროხისა—15 კაპ., ცხვრისა—18 კაპ. ღორისა: ტყავიანი—13 კაპ., უტყავო—14 კაპ., კამეჩისა—9 კაპ. და სუკი მორიგებით.

✦ **პურის ახალი ნიხრი**, რომელიც ქალაქის საბჭომ შეიმუშავა და გუბერნატორმა დაამტკიცა, შემდეგია: თორნისა პირველ ხარისხისა—5 კაპ., მეორე ხარისხსა 4½ კ., მესამე ხარისხისა—4 კ. ლავაში 1 ხარისხისა 5 კ.—მეორე ხარისხისა —4½ კ. ფურნისა პირველ ხარისხისა 4¾ კ., მეორე ხარისხისა

# ოსმალეთის ვითარება

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

1.

### ცოტა რამ ზავის შესახებ.

იტალიის საქმე ცუდად მიდის. გამოჩნდა ტყუილები! გამოჩნდა, რომ უძლურია. გამოჩნდა, რომ გასეირნებით კი არა, დიდი-ხნის ბრძოლითაც საეჭვოა მისი გამარჯვება! ყველაზე გვიან იტალიის ხალხმა გაიგო ეს ჭეშმარიტება და ამიტომაც, როგორც იწერებიან, უსიამოვნება იწყება. ტრიპოლის დასაპყრობად საჭიროა წლები, უზომო ხარჯი და მსხვერპლი, რაც იტალიისათვის მეტად სამძიმოა. მისი მდგომარეობა სამხედრო ასპარეზზე ასეთია: მთელ ტრიპოლში 4 ადგილას აქვს ბინა, ისიც მარტო საზღვის-ნაპირო ქალაქებში: **ტრიპოლში, ბენგაზში, დერნაში** და **თობრუკში.** ამ ქალაქებსაც ზღვიდან მომდგარი ფლოტის არტილერია იცავს, ასე რომ მათი გამარჯვება მხოლოდ საზღვაოა; ხმელეთზე ჯერ მათ არ გაუმარჯვნიათ. ზემოხსენებულ ადგილებში ყველაზე მნიშვნელოვანი ტრიპოლია. სივრცე დაპყრობილ ადგილებისა შემდეგია: ტრიპოლთან 90 ოთხ-კუთხი კილომეტრი (კილომეტრი ვერსზე ცოტა ნაკლებია), ბენგაზთან ოთხკ. კილომეტრი, დერნასთან 25 ოთხკ. კილომეტრი და 10 ოთხკ. კილომეტრიც თობრუკთან; სულ 150 ოთხკ. კილომეტრი. ამ ადგილებში ჰყავს 150,000 ჯარის კაცი, ასე რომ თითო ოთხკ. კილომეტრს 10,000 ჯარის-კაცი სჭირდება. იმავე ადგილებში ოსმალეთს მხოლოდ 3,000 მხედარი ჰყავს, მოხალისე არაბები რომ არ ვიანგარიშოთ. ასეთი მდგომარეობა იტალიას აფიქრებს. ომის გაგრძელებას მარტო ფინანსიურის თვალით რომ შევხედოთ—ოსმალეთს დიდ-ხანს შეუძლია გაგრძელება, რადგანაც ისე ძვირად არ უჯდება. ამას წინად, სამხედრო მინისტრმა შევკეთ-ფაშამ განაცხადა: „ომის გაგრძლება დიდ-ხანს შეგვიძლიან, რადგანაც გვეხარჯება 5% იმისა, რასაც იტალია ხარჯავსო!" შეიძლება ეს სიტყვები მთლად დასაჯერებელი არ იყოს, მაგრამ დაახლოვებით კი მართალია. ერთის სიტყვით, იტალია გასაჭირშია. ყოველ მხრით სამხედრო ასპარეზზე დამარცხება, ფინანსების სისუსტე და ხალხის უკმაყოფილება. ვერ არიან კარგ გუნებაზე—ტრიპოლში სარდალი კანევა, რომში პრემიერი ჟიოლიტი ამისთანა პირობებში რაღა დარჩენიათ თუ არა ზავის ჩამოგდება? ძალიან სცდილობენ ევროპიელ სახელმწიფოთა დახმარებით ოსმალეთთან ხელსაყრელ ზავის ჩამოგდებას.

ომი თითქმის შეჩერებულია და თუ ზავი ვერ მოხერხდა, გადამწყვეტი ბრძოლა აუცილებელი იქნება*).

ტრიპოლში უკვე სიცხეები დაიჭირა. იტალია რაღაც ცვლილებებსაც ახდენს თავის ჯარში. ამ ხანებში ორი გენერალი გამოსცვალა. ოსმალეთს გამარჯვების იმედი აქვს და ამიტომ გაგრძელებას მოითხოვს, რისთვისაც უსაყვედურებს ევროპას ჩარევისთვის. საზოგადოება და პრესსა კი სცდილობს მოისპოს ეს საზარალო ომი, რომელიც აფერხებს ოსმალეთის წინსვლას. სცდილობს საზოგადო აზრით მთავრობაზე გავლენა იქონიოს და როგორმე მოარიგოს. როგორც მთავრობა, ისე პრესსა ერთხმად უარყოფენ იმ ზავის პირობებს, რომელიც გამოსთქვა ინგლისელ სირ-თომა ბარკლაიმ.

მართლაც დიდი დამცირება უნდა იყოს ოსმალეთისთვის, რომ სრულიად დაუპყრობელი ქვეყანა, თუნდაც სასყიდლად, როგორც ბარკლაი ამბობს, დაუთმოს იტალიას?! პრესსა სხვა დათმობაზე უთითებს მთავრობას და ურჩევს მორიგებას დაახლოვებით ასეთ პრინციპებზე:

1). ტრიპოლი და ბენგაზი დარჩეს ოსმალეთის გამგეობის ქვეშ, რისთვისაც ოსმალეთი მოვალე იქნება სასურველი ცვლილება შეიტანოს ადგილობრივ მართვა-გამგეობაში;

2). ზემოხსენებულ ქვეყნებში დაცულ იქნება ხელშეკრულების ძალით იტალიის ყველანაირი ინტერესები, როგორც საახალშენო, ისე სავაჭრო და სამრეწველოდ.

3). სავაჭრო განწყობილება თვით ოსმალეთში ისეთი უნდა იყოს, რომ იტალიის ვაჭრობა ალებ-მიცემობამ ხელი შეუწყოს. ამით უნდა ანაზღაურდეს ის, რაც იტალიას ტრიპოლის და ბენგაზის არ შემოერთებით მოაკლდება. ასეთია პრესის აზრი, ხოლო რას იტყვის ამავე საგანზე განახლებული პარლამენტი, დაბეჯითებით ერთი რამ შეიძლება ახლავე ითქვას: პარლამენტი, რომელშიც გაბატონებული იქნებიან „ერთობისა და პროგრესის" წევრები და რომელნიც სასტიკი დამცველნი არიან ოსმალეთის ტერიტორიის მთლიანობისა, ზემოხსენებულ პირობებზე უკეთესს ვერ შეიმუშავებენ.

2.

### არჩევნები.

რამდენიმე დღეში დამთავრდება საპარლამენტო არჩევნები. ახლავე ეტყობა, რომ გამარჯვება „ერთობის და პროგრესის" პარტიას დარჩება. სომეხთა 4 შეერთებული პარტია (ამათ გარედ სდგას ს.-დ. „ჰანჩაკისტების" პარტია) „ერთობის და პროგრესის" კომიტეტს შეუთანხმდა. ოსმალონი, არაბნი, სირიელნი, სომხები, ებრაელები და სერბები—უმეტეს ნაწილად გამოვიდნენ **ერთობის** და **პროგრესის პარტიის** დროშის ქვეშ, ხოლო ბერძნები, ალბანელები და ბულგარები შეთანხმდნენ არჩევნებში თანხმობის და თავისუფლების პარტიის სახელით. უკანასკნელნი დამარცხდნენ არჩევნებში, რის მიზეზიც, სხვათა შორის, მთავრობის განსაკუთრებითი ზომები იყო. მათი უმთავრესი ბელადნი: ლუტფი-ფიკრი-ბეი, ჰოჯა-საბრი ეფენდი, ისმაილ-ბეი გუმულჯიანი და სხვანი, როგორც ეტყობა, ვერ მოხვდებიან პარლამენტში. სომხების შეერთებული 4 პარტია ამ ბოლო დროს უკმაყოფილოა „ერთობის და პროგრესის" კომიტეტისა, რადგან 18-20 დეპუტატის მაგიერ ახლა 15 დეპუტატის გაყვანას ჰპირდებიან. ამის შესახებ რამდენჯერმე კრება ჰქონდათ სომხებს თავიანთ პოლიტიკურ კლუბებში, სადაც მრავალი ცხარე სიტყვა წარმოითქვა. თუ პარლამენტში 15 სომეხი მოხვდა, წინანდელთან შედარებით, მაინც მოგებული დარჩებიან. აი სია დეპუტატთა პირველის პარლამენტისა:

| | | |
|---|---|---|
| თურქი | 134 | „ |
| არაბი | 61 | „ |
| ალბანელი | 25 | „ |
| ბერძენი | 24 | „ |
| სომეხი | 11 | „ |
| ქურთი | 6 | „ |
| ბულგარი | 4 | „ |
| ებრაელი | 4 | „ |
| სერბი | 3 | „ |
| ჩერქეზი | 2 | „ |
| ლაზი (მეგრელი) | 2 | „ |
| ქალდეელი | 1 | „ |
| რუმინიელი | 1 | „ |
| სულ | 278 | დეპ. |

სომხის სოციალ-დემოკრატიული პარტია „ჰანჩაკი" და ბალკანეთის სოციალისტ მუშათა ფედერაცია არჩევნებში არ იღებენ მონაწილეობას. „ჰანჩაკი" თავიდანვე, ხოლო მუშათა ფედერაცია მას შემდეგ, რაც მათი ყოფილი დეპუტატი ვლახოვ-ეფენდი დაატუსაღეს.

პარლამენტი გაიხსნება ხუთშაბათს, 5/18 აპრილს, რის შემდეგაც მოგვეცემა საშუალება ნამდვილი წარმოდგენა ვიქონიოთ ამა თუ იმ პარტიის სიძლიერეზე. აქ ნამდვილად დავინახავთ მართლა 9/10 დეპუტატებისა მთავრობის, ე. ი. ერთობის და პროგრესის პარტიისა იქნება, თუ არა? ამის შესახებ ვეცდები დროზე გაუზიარო ჩემი შთაბეჭდილება პატივცემულ მკითხველთ.

3.

### სამინისტროს მოქმედება.

მას შემდეგ რაც პარლამენტი დაითხოვეს, სამინისტრო თავისუფლად მოქმედობს, მაგრამ საგულისხმო მაინცა და მაინც არა მომხდარა რა. შინაგან საქმეთა მინისტრად მოიწვიეს ცნობილი **ჰადჟი-ადილ-ბეი,** ყოფილი მდივანი „ერთობის და პროგრესის" კომიტეტისა. მის დანიშვნას სიხარულით მიეგებნენ და იმედი გამოსთქვეს, რომ ამის შემდეგ შესუსტდება უცხო ეროვნებათა მჩაგვრელი პოლიტიკაო.

როგორც კი მიიღო თანამდებობა, შეადგინა კომისია და მასის თავმჯდომარეობით შეუდგნენ ადგილობრივ შესწავლას აუცილებელ ცვლილებათა მოსახდენად. მან უკვე მოიარა ალბანეთი, მაკედონია და რუმენია; ამ ჟამად იმყოფება ბერატში, საიდანაც კვლავ განაგრძობს მოგზაურობას. რა ცვლილებები მიაჩნია საჭიროდ, ჯერ ჩვენ არ ვიცით, გარდა ერთისა, რომელიც 10 აპრილს (ახალ. სტილით) განიხილა სამინისტრომ. ამ საზრით (პროექტით)

---

*) როგორც დეპეშებიდან გაიგებდა ჩვენი მკითხველი, დარდანელში უკვე სასტიკი ბრძოლა გაიმართა იტალიისა და ოსმალეთს შორის. რედ.

—4¼ კ., მესამე ხარისხისა—3¾ კ., არჟანოვისა—3 კ.

✦ 11 აპრილს კახეთის ქუჩაზე უეცრივ გარდაცვალებულ უცნობის ვინაობა გამოარკვიეს. იგი აღმოჩნდა ტფილისელი ვაჭარი მელიქსედ ავეტიქას ძე არუთინოვი, 55 წლისა,

✦ 12 აპრილს ტფილ.სში 19 უპასპორტო შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ დღეს, საღამოს 8 საათზე **საგეოგრაფიო საზოგადოების** დარბაზში დანიშნულია **კრება** მოსკოვის **საარქეოლოგიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა,** რომელზედაც ვ. მ. სისოევი წაიკითხავს მოხსენებას სომხურ მონასტრის ნორავანქის შესახებ ერევნის გუბერნიაში. კრებაზე დასწრება გარეშე პირთაც შეუძლიანთ.

✦ **ვაჭართა კრება.** ტფ. ვაჭართა მამასახლისი ა. ნ. მილოვი 18 აპრილს ვაჭართა კრებას იწვევს. კრებამ უნდა შეიმუშაოს ზომები იმ ვაჭართა წინააღმდეგ, რომელნიც თავის ვალის გადახდის ასაცდენად განგებ თავს იკოტრებენ და მით ყველგან ნდობას უკარგავენ ვაჭართა წოდებას. როგორც სტატისტიკური ცნობები გადმოგვცემს, 1911 წელს ტფილისში. აგრეთვე ტფილისის გუბერნიაში, განგებ თავის გაკოტრების მაგალითი ერთობ დიდი ყოფილა.

✦ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** წევრთა საერთო კრება 12 აპრილს მოხდა ვ. ი. სოკოლოვის თავმჯდომარეობით. საზოგადოების მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც ნავარაუდევია 27,000 მან., დამტკიცებულ იქმნა. შემდეგ ლაპარაკი ჩამოვარდა საზოგადოების სასტატისტიკო ბიუროზე. წევრებმა აღნიშნეს, რომ ბიურო თავის დანიშნულებას რიგიანად ვერ ასრულებსო. თავმჯდომარემ განმარტა, რომ ბიურო სულ ოთხის წლის დაარსებულია, ჯერ ახალი დაწესებულებაა და ამას გარდა მცირე ფული (წელიწადში 3,000 მან.) ეძლევა მაშინ, როდესაც საჭიროა 20,000 მანეთიო. კრებამ სურვილი გამოსთქვა, რათა საზოგადოების საბჭომ ზომები მიიღოს ბიუროს საშუალებათა გასაძლიერებლად. სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს: მ. ი. სვეშნიკოვი, ა. ი. დრბოგლავი და ბ-ნი მხეიძე.

✦ **საარქეოლოგიო საზოგადოების** კრება დღეს, საღამოს 8 საათზე მოხდება საგეოგრაფიო საზოგადოების შენობაში.

## სასამართლო

✦ **ტფ. სამოსამართლო პალატის სესია,** რომელიც ყარსსა და ერევანში იყო, ტფილისს დაბრუნდა.

## სასწავლებლებში.

✦ **ძმ. ჯამგაროვების სახელობის სამეურნეო სასწავლებელი** განჯაში გაიხსნება. სკოლას დაეთმობა რამდენიმე დესეტინა საეკლესიო მიწა. სკოლის შენობის აგებას მოკლე ხანში შეუდგებიან.

✦ აღიძრა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ტფ. **რეალურ სასწავლებელს** გრაფის ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის სახელი დაერქვას.

## სომხთა ცხოვრება.

✦ ამ ახლო ხანში, ეჩმიაძინში გადახდილ იქნება სომეხთა მგოსნის **ჰ. ჰოვჰანესიანის** სალიტერატურო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე. ბ. ჰოვჰანესიანი სომხების ნიჭიერ პოეტთაგანია. იგი დიდ-ხანს მასწავლებლად იყო ეჩმიაძინის აკადემიაში. აწ იგი ეჩმიაძინის სომეხ-გრიგორიანთა სინოდის მდივნის თანამდებობას ასრულებს. იგი ჯერ კიდევ ახალგაზდაა და წერას განაგრძობს.

✦ კავკასიის სომეხთა გამომცემელ საზოგადოებას გამოუცია განსვენებულ **მურაცანის** ერთ ერთი ისტორიული რომანი **„გევორქ მარზპეტუნი“.** წიგნში მოთავსებულია ავტორის სურათი.

✦ აპრილის 25 გამოვა **გ. სუნდუკიანცის** სახსოვრად ალმანახი, „ტარაზის“ გამოცემა, სომხურ ენაზე. ალმანახი ეღირება 3 მანეთად.

✦ ამ დღეებში გამოვიდა სომხური ახალი წიგნი **ჰ. სოცოვიანისა,** რომელსაც სათაურად აქვს „თანამედროვე სომხურ პოეზიის ფილოსოფია“.

✦ კავკასიის სომეხ მასწავლებელთა კავშირის ორგანო „ნორ-დპროცის“ (ახალი სკოლა) მე-13—14-ე შეერთებულ ნომერში მოთავსებულია სუნდუკიანცის შესახებ სხვა და სხვა წერილები და განსვენებულის სურათი.

✦ მსახიობმა **გ. გედევანოვმა** სთარგმნა სომხურ ენაზე და ნამესტნიკს წარუდგინა ა. ცაგარელის პიესა „რაც გინახავს ველარ ნახავ“.

✦ სომხურ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას დაუდგენია: გ. სუნდუკიანცის სახსოვრად კავკასიის სხვა და სხვა ქალაქებში გამართოს **„პეპოს“** წარმოდგენა. ამ პიესას პირველად ითამაშებენ ბაქოში. **პეპოს** როლს შეასრულებს მსახიობი გ. გედევანოვი; გამგეობამ დაადგინა ამასთანავე ფული შეაგროვოს **„პეპოს“** ძეგლისათვის.

## ქუთაისი

✦ **ჟურნ. „კოოპერაციის“ რედაქტორის დაბრუნება.** გუშინ, 12 აპრილს, დაბრუნდა რუსეთიდან „კოოპერაციის“ რედაქტორი იასონ გაბილაია, რომელიც დაესწრო პეტერბურგში სრულიად რუსეთის კოოპერატორების კრებას და მოსკოვში სახალხო ბანკის გახსნას „კოოპერაციის“ მორიგი ნომერი გამოვა აღნიშნული კრებების რეზოლუციებით რაც შეიძლება დაჩქარებით. ამის გარდა ბ-ნი გაბილაია წაიკითხავს მოხსენებას დაბა სოფლებში და ქალაქებში.

## გორი

✦ **გამოფენა.** 21 აპრილიდან 23 აპრილამდე საზოგადო საკრებულოს შენობაში ფრინველთა გამოფენა გაიმართება.

## ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებელში.

სწორედ წარმოუდგენელია და მიუწდომელი ის განცვიფრება, რომელსაც მთლად ქუთაისის საზოგადოება განიცდის ამ უკანასკნელ დღეებში. წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში მომხდარი ინციდენტი გასაოცრად და ყველასთვის, ვისაც კი აქ სწავლა განათლების საქმე რაიმედ მიაჩნია,—ყველასთვის-მეთქი განსაცვიფრებლად დამთავრდა.

როცა სასწავლებელში მომხდარმა ამბებმა ძარღვები აუშალა და იმსხვერპლა, პირდაპირ შეიწირა ამ სასწავლებლის ინსპექტორი კ. ლობერიძე—ყველა ფიქრობდა საქმე შემოტრიალდება, ეს ტრაგიკული ამბავი საუმჯობესოდ შესცვლის სასწავლებლის ბედ-იღბალსაო, [illegible]... მაგრამ თითქმის სამოცდა ათი წლის კაცისაგან სასიკვდილოდ თავის გაწირვამ ვერაფერი ვერ შესცვალა. პირ-იქით ამ ტრაგედიას კიდევ მოჰყვა თან სხვა ამბავი. ელვასავით მოედო გუშინ ნაშუადღევის მეორე საათზე მთელს ქალაქს ამბავი, რომ წმ. ნინოს სასწავლებლიდან დაითხოვეს შემდეგი ქართველი მასწავლებელი და აღმზრდელი ქალები: თეოდოსია კორძაიას, ვასასი აბაშიძისა, ელენე სუმბათაშვილისა, მართა ლოლობერიძისა, ელენე პეტრიაშვილის ასულნი და სადვთო სჯულის მასწავლებელი მღვდელი მაჭარაძე.

უცნაური, ზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ამბავმა სასწავლებელში და თვით საზოგადოებაშიც...

საზოგადოების გაკვირვებას, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, საზღვარი არა აქვს იმის გამო, რომ განსაკუთრებით თეოდოსია კორძაიას ასულს მოეპყრნენ ასე უსამართლოდ. ოცდა შვიდი წელიწადია ეს ადამიანი თავს დასტრიალებს ამ სასწავლებელს. აქ შეისწავლა ანბანი და იმავ დღიდან აღარ მოშორებია მას, უკეთ რომა ვსთქვათ, „არ მოაშორეს, რადგან ხედავდნენ, როგორ უყვარდა მას იგი, თავს ევლებოდა, ულოლავებდა. იგი სასწავლებლის უფროს ქალის თანაშემწედ ითვლებოდა, ხოლო ნამდვილად უფროსობაც მის ხელში იყო და მ.ილად სასწავლებლის ბედ-იღბალიც. რამდენი უფროსი ქალი გამოიცვალა, რამდენი ჭირი და ვარამი გადახდა ამ სასწავლებელს, არა ერთჯერ უფროსის თანამდებობაც შესთავაზეს, მაგრამ თეოდოსია კორძაიას ასული თანაშემწეობას არჩევდა, ვინაიდან ამ თანაშემწეობით აძლევდა იგი აურაცხველ შემწეობას სასწავლებელს. ოცდა შვიდი წელიწადია თეოდოსია კორძაიას ასული ძიძა იყო ამ სასწავლებლისა, მისი პატრონი, ერთგული, სამართლიანი, ბეჯითი აღმზრდელი ქალების, მათი დედა...

სწორედ წარმოუდგენელია, რომ რამ გამოიწვია ასეთი სისასტიკე?!..

დ. მ.

## საყურადღებო სალიტერატურო-სამუსიკო დილა

### ზუბალაშ. სახალხო სახლში.

(ქალთა საკითხზე რეფერატი)

ცხოვრების პირობები თავისას მოითხოვენ და საზოგადოებაშიაც ეტყობა არსებობს მოთხოვნილება დილა-საღამოებისა (თუმცა არც ესრე გახშირებულისა) და ჩვენც ნუ დაგვემდურება მკითხველი, თუ იმის ყურადღებას, დრო-გამოშვებით მაინც, შევაჩერებთ ხოლმე ამ საზოგადოებისთვის ყოველ შემთხვევაში უვნებელ თავგასართობის აღნიშვნით. ამ ბოლო დროს კიდევ მრავალი დილა-საღამოები გაუმართავთ, მაგრამ ჩვენ დავესწარით მხოლოდ კვირას, 8 აპრილის დილას, იგი არ იყო ინტერესს მოკლებული, განსაკუთრებით წაკითხულ რეფერატით, რომელზედაც ორიოდე სიტყვა უნდა გაუზიაროთ მკითხველს. უპირველესად აღსანიშნავია, რომ თუმცა, რაღაც სხვ. მოსაზრებით, ამ დილისთვის დეერქმიათ ინტერნაციონალური, მაგრამ დიდი უმრავლესობა როგორც მონაწილეთა, ეგრეთვე თავშეყრილ საზოგადოებისას ქართველობა შეადგენდა. და აი, ამ ქართველ მსმენელებს, ახალგაზრდა ქართველმავე ქალმა მ. ი. ჩხეიძემ თვისი რეფერატი რუსულად წაუკითხა... თუმცა ღვთის წინაშე, რეფერატი გკარიანის სინიდისიერებით და საგნის ცოდნით იყო შედგენილი, მაგრამ იგი სახალხო აუდიტორიისათვის შეუფერებელი იყო, მეტად ვრცელი, მსმენელთა უმრავლესობისათვის ენა გაუგებარი და ამიტომაც ბევრი მათგანი მოუსვენარობით მოელოდა რეფერატის გათავებას.

რა თქმა უნდა ემჯობინებოდა ქ-ნ ჩხეიძეს თვისი მოხსენება ცოტა შეემოკლებინა, და უფრო მარტივად, მშობლიურ ენაზედ გადაეცა მსმენელთათვის, მაგრამ ერთის მხრივ არც იმდენად გასამტყუნარია, რადგანაც ქართულად წაკითხულს მოხსენებას საზოგადოების თვალში იმოდენა მნიშვნელობა აღარ ექმნებოდა...

თვით რეფერატი კი, როგორც ზემოთაც ვსთქვით, საგნის ცოდნით და კარგის ლიტერატურულის ენით იყო დაწერილი. ქ-ნ ჩხეიძეს თავის მოხსენების თემად აელო: „დედაკაცის მოქალაქობრივი მდგომარეობა დასავლეთში და ჩვენში (იგულისხმ. რუსეთში) ისტორიული მიმოხილვა; ქონებრივი და პირადი უფლებანი; შედარებითი კანონმდებლობა. მოკლედ რომა ვსთქვათ ქ. ჩხეიძე შეეხო ეგრედ წოდებულ ქალთა კითხვას.

ეს ისეთი საგულისხმიერო და დამაფიქრებელი თემაა, რომლის განმარტების დროსაც ცოტათიც არის ნიჭიერ მომხსენებელს ფართო გზა ეშლება უნარის გამოსაჩენად და მსმენელთა ყურადღების მოსაპოვებლად იმ საუკუნოებით დამკვიდრებულ უსამართლობაზე, თუ ერთს ნახევარს კაცობრიობისას-მამაკაცებს როგორა ჰყავთ უფლებრივად დამონებული კაცობრიობის მეორე ნახევარი—დედაკაცები. ეს მეტად საჭირბოროტო და რთული საკითხი არა ერთხელ აღძრულა და განმარტებულა ყველა კულტურულ ერების ლიტერატურაში და კაცობრიობის ბევრი საუკეთესო მესვეურნი ამხედრებულან ამ უსამართლოების წინააღმდეგ. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სიტყვიერად დიდი უმრავლესობა შეგნებულ მამაკაცებისა თითქოს თანაუგრძნობს კიდეც დედაკაცის დაბეჩავებულ მდგომარეობას, მაგრამ როცა კი საქმე საქმეზედ მიმდგარა ქალთა უფლების თუნდა მცირე-რამ ნაწილის პრაქტიკულად განსახორციელებლად, უმალ უჩენია თავი მამაკაცის მიერ ბატონობა-უმფროსობის ჟინს, რასაც თავისი მრავალ საუკუნოების წარსული აქვს.

მოსასპობლად მამაკაცთა ამ ჟინიანობისა, რაიც აშკარად ეღობება მთელი კაცობრიობის პროგრესს, წინ კიდევ დიდი და ხანგრძლივი სასტიკი ბრძოლა მოელის: საზოგადოდ კაცის ბუნება ისეთია, რომ ის ადვილად ველარ სთმობს დიდის ხნით შესისხლხორცებულ სხვაზე ბატონობას. რუსული ანდაზა ამბობს, რომ „საუკუნოებით შექმნილი ზნე-ჩვეულებების აღმოფხვრა საუკუნოებსვე შეუძლიანო“.

ქალთა ცდის და ბრძოლის ამბავი მოქალაქობრივი უფლებების მოსაპოვებლად დიდი ხნის ისტორიულ წარსულში იკარგება. ქალის სამართლიანი მოთხოვნა, რომ იგი განთავისუფლებულ იქმნას მამაკაცის ბატონობა-აპეკისაგან თან-და-თან, ნაწილ-ნაწილად თუ მოხდება და სავსებით უფლებრივად მამაკაცებთან გათანასწორებას კი იქმნება კიდევ საუკუნოებიც დასჭირდეს.

ქ-ნ ჩხეიძემაც თავის რეფერატის დასაწყისშივე სამართლიანად აღიარა, რომ სრული განთავისუფლება დედაკაცისა მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა დაინგრევა ძველი ფორმები საზოგადოებრივ წესწყობილებისა და აშენდება ახალ ჭეშმარიტების და სამართლიანობის პრინციპებზედაო. ქალები თვის დაბეჩავებაში ტყუილა მიზეზად სთვლიან და ემდურიან მამაკაცებსა,—უმთავრესი მიზეზი მათის უუფლებობისა არსებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წესწყობილებააო.

ქ-ნი ჩხეიძე დაწვრილებით შეეხო ისტორიულ განხილვას ქალთა უფლებლობისას და არსებულ კანონმდებლობას თითქმის ყველა ქვეყნებისას, დიდ ხანს შეჩერდა იმ უფლებრივ მდგომარეობაზე, რომელშიაც ქალი იმყოფებოდა ძველ რომში, ვინაიდან იგი დასახა პირველ-წყაროდ და მისი კანონდებლობა უფლების შეზღუდვის შესახებ მისაბაძ მაგალითად დანარჩენ ქვეყნებისათვისაც. შემდეგ გადავიდა გერმანიის კანონმდებლობაზე და სხვათაშორის, სთქვა: ამ ქვეყნის გამუდმებულმა ომიანობამ, როცა ფიზიკური ძალა იყო პატივში, გადამეტებით დაუმონა ქალი კაცსა. როგორც გერმანიაში, ეგრეთვე განსაკუთრებით საფრანგეთში კანონმდებლობა იმდენად არა ჰზღუდავს ქალის უფლებებს გათხოვებამდის,—გათხოვების შემდეგ კი, ქალი თითქოს ყოველგვარ უფლებას ჰკარგავს და სავსებით ქმრის მზრუნველობის ქვეშ რჩებაო. იტალიის კანონების განხილვის დროს, მსმენელთა ყურადღება მიაქცია ჰუმანურ მხარეს ვიქტორ ემანუილის მიერ გამოცემულ კოდექსისას, რაიც საგრძნობელ უფლებებს ანიჭებდა ქალთა და თავისი სამართლიანობით ბევრით მაღლა იდგა საფრანგეთის კანონებზე. რეფერენტმა აღნიშნა ღრმა განსხვავება სკანდინავიას და ინგლისის კანონმდებლობისა შედარებით დანარჩენ ევროპის სახელმწიფოების კანონებთან და სთქვა: ინგლისში ბოლო ხანში გამოცემული კანონები საგრძნობელ უფლებებს ანიჭებენ ქალებსაო. რუსეთის კანონები ქალთა შესახებ გაცილებით მაღლა დააყენა ევროპის კანონებზე. არსებულ კანონმდებლობის უარყოფით მხარეების განხილვის დროს, სხვათა შორის მოიხსენია რუსეთის პარლამენტში შეტანილი საკანონმდებლო პროექტი, რომლითაც განზრახულია ქალებს უფლება მიეცეთ დეპუტატებად არჩევისა, მაგრამ რა გამოვიდაო, დასძინა მან, ეს უფლება კიდეც რომ მიენიჭოთ ქალებს, პარლამენტში გაცხარებულ მუშაობის დროს, ქმარს, არსებულ კანონებით, ყოველთვის შეუძლიან, თუ მოისურვა, თავისთან დაიბაროს დეპუტატი ცოლიო... ქ-ნ ჩხეიძემ მოიხსენია ის საზოგადოთ ყველგან მიღებული შაბლონური, უარყოფითი მხარეები ქალის ხასიათისა, რის მიზეზითაც ვითომ და მას უღირსად სთვლიან ზოგიერთ უფლებაში კაცთან გათანასწორებისთვის; მაგრამ, ამ უარყოფით მხარეების განხილვის დროს, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ იგინი წარმოშობილან მხოლოდ ქალების შეზღუდულ უუფლებობის გამოო.

მოხსენების გათავებისას, ქ-ნმა ჩხეიძემ ის სამართლიანი დასკვნა გამოიყვანა, რომ ძნელია ადამიანმა მთელი კაცობრიობის ჯეროვანი და მთლიანი პროგრესი წარმოიდგინოს, თუ ერთი მისი ნახევარი — დედაკაცები, უფლებებს მოკლებულნი და დამონებულნი, ჩამოშორებულნი იქმნებიან, როგორც კერძო, აგრეთვე საზოგადო და სახელმწიფოებრივ საქმეებში აქტიურად მონაწილეობიდანაო. ქ. ჩხეიძე მოხსენების წაკითხვას მოუნდა 1½ საათზე მეტს.

დილის სალიტერატურო-სამუსიკო განყოფილებაზე ბევრი მონაწილე არ გამოცხადდა, უფერულად ჩაიარა და მასზე აღარ შევჩერდებით, აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: მსახიობმა მატარაძემ ჩვეულებრივის ხელოვნებით და გრძნობიერებით წაიკითხა ცნობილი ლექსი ორბელიანისა: „რას მიყურებ ეგრე გაკვირვებული“... როდესაც საზოგადოებამ ბ. მატარაძე მეორედ გამოიხმო, წაიკითხა ყოვლად უხამსი და უადგილო რაღაც ლექსისებური, ვითომდა დაცინვა ზოგიერთ ნაძირალთა ერთ პოლიტიკურ მიმართულებისა...

გ. ბ—ციხელი.

## ხმა ქიზიყიდან

ჩვენში უდიდესი სიცხე და გვალვები დაიჭირა. ამ საშინელ, ხანგრძლივ უწვიმობის გამო მინდორი მთლად გაიტუსა, გადახმა ჯეჯილი, ბალახი. ნახნავში მოსული გაყვითლებული ჯეჯილი გულ საკლავ, სავალალო სურათს წარმოადგენს. ხალხი თითქმის სასოწარკვეთილებას ეძლევა. მთელი დღე გამუდმებით ეს ამოდელა სოფლის დედაკაცი გოგო-ბიჭიანად მინდვრად დაიარებიან ფეხშიშველები, ხატებ წამძღვარებულნი და ღმერთს შეჰღაღადებენ, ცვარ-ნამი აღირსოს დედა-მიწას მოწყურებულს... „დიდებაზე“ ტარებას, პარაკლისებს ხომ საზღვარი არა აქვს... უკეთუ ამ ერთ კვირაშიაც არ გა[illegible], მთელი [illegible] დაიმშევა. უბალახობა ცხვარს ეხლავე შეეტყო [illegible] იხოცებიან, ამიტომ ფარის პატრონებმა ცხვარი ეხლავე გაირეკეს საზაფხულო საძოვრებზე, თუმცა სხვა წლებში აპრილის ბოლოს იცოდნენ გარეკა ცხვრისა... შირაქიდან ხომ კარგა ხანია დაიძრა ცხვარი; როგორც გზაზე ბალახი არ არის, ისე კიდევ სიცხისაგან შეწუხებულ შირაქშიო, ამბობენ მწყემსები...

X

## სხვა და სხვა ამბავი

**დაწესებულების დაკეტვა.** საკომერციო მეცნიერების გამავრცელებელ საზოგადოებას ჰერცენის გახსენებისათვის დღესასწაული გაუმართავს მოსკოვში. ამის გამო ადმინისტრაციას ეს საზოგადოება დაუკეტნია.

**ლენის მუშები და მოსწავლენი.** მოსკოვის საკომერციო ინსტიტუტის მოსწავლეებს ლენის მუშათა დახოცვის სამგლოვიაროდ გაფიცვა გამოუცხადებიათ.

**კიეველთა გაფიცვა.** ლენის მუშათა დახოცვის გამო კიევის უნივერსიტეტსა და პოლიტეხნიკუმში ორი დღით გაფიცვა გამოაცხადეს.

გაფიცულან ქარხანა-ფაბრიკების მუშებიც.

ამავე მიზეზით გაფიცულან ქ. ხარკოვშიაც.

**ბაქოს ახალი გაზეთი.** ბაქოში გამოსულა შაულიშვილის რედაქტორობით საკვირაო გაზეთი „ნაშე სლოვო“ („ჩვენი სიტყვა“).

## მოწერილი ამბები

**სურამი.** ცუდი აღდგომა ჰქონდათ სურამელებს. მთელ დღესასწაულებში თოვლი და წვიმები გადაუღებელი იყო. ერთად-ერთი ქუჩა, რომელიც აქვთ, ტალახის მორევს წარმოადგენდა. ფარნებსაც რაღაც მიზეზით არ ანათებენ ასე, რომ სიბნელეში არიან ჩვენი სურამელები, არამც თუ ფარნების მხრივ სწავლის შესახებაც.

დაბას წარმოადგენს სურამი დანტავი ჰკითხონ რა აქვთ სურამელებს, რა კულტურული დაწესებულება აქვთ? თუ აქვთ რამე, ისიც ტორტმანებს, როგორც კვირა-უქმე დღეებში მოსიარულე მთვრალი კაცები. სალოთავ დუქნების შესახებ ვერას ვიტყვი, რადგან მრავალია და ყოველ წელიწადს იზრდება სოკოსავით სკოლების მაგიერ. სურამი სადათას ძილს მისცემია ზამთრობით, გაზაფხულზე ცოტას იღვიძებს და ზაფხულში ხომ წელში იმართება და დიდ ფაცა-ფუცშია, რადგან სტუმრებს-მოაგარაკეებს ელიან. სურამში ერთი სამინისტრო სკოლაა, ერთი კერძო პროგიმნაზია და ერთიც სამრევლო. რაც გახსნეს კერძო პროგიმნაზია ე. ი. ორი-სამის წლის წინად, დიდ გულმოდგინედ და უნარით მიეგებნენ, როგორც ქართველები, ისე სომხები ებრაელებიც. ხაშურელებსაც და სურამლებსაც ერთად ჰქონდათ ხელი მოწერილი სიებზე, მაგრამ, ხომ გაგეგონებათ, ჩვენი სენი—კერძო თავმოყვარეობა-ქიშპობა როგორ აფერხებს ყოველ საერთო საქმეს. ამ პროგიმნაზიის საქმეც ასე მოხდა. ხაშურის საზოგადოებამ ცალკე გაიწია, სურამისამაც ცალკე და ერთმანეთს დაუწყეს ჯიბრობა. ზოგიერთ კეთილმა პირებმა მოინდომეს შეერთება, მაგრამ ამაოდ. სურამის მოთავეები თამამად აღიარებდნენ: „ჩვენ არ გვინდა შეერთება, ჩვენ შვილებს ხაშურში და ხაშურას მახლობლად არ გავგზავნითო, მეორეც პირველად ჩვენ დავიწყეთ საქმეო და აქ კარგი ჰაერიაო და სხვა...“ ხაშურელებიც თავიანთსას გაიძახოდნენ: „ჩვენც არ გამოვგზავნით სურამში, თქვენ მარტო ჰაერით ვერ ასულდგმულებთ სკოლას, ჩვენ ფულები გვაქვსო“. ამნაირი ქიშპობით სუსტდება ორთავე პროგიმნაზია, ვინ დაასწრებს წაქცევას, ღმერთმა იცის. კიდევ სცადეს მათი მორიგება, მაგრამ ერთმანეთს არაფერი, მცირე რამ არ დაუთმეს და სამუდამოდ მგონი ჩამოშორდნენ. ჩემის აზრით თუ შეერთება არ მოხდება, თუ რაიმე წყაროები არ ექნება სკოლას, არა მგონია იარსებოს. ამას გარდა ბევრი მტერი თვით სურამში გამოუჩნდნენ „კლუბისტები“ მათი დამქაშები და აგრეთვე ჩვენი მეზობელი სომხებ ებრაელებიც ჩამოშორდნენ. ასე რომ ძალიან ცუდ მდგომარეობაშია პროგიმნაზია. ზოგი ახირებული პირები გაიძახიან: „ჩვენი პროგიმნაზია იარ-

---

ჰაჯი-ადილ-ბეი მოითხოვს ალბანიისთვის შემდეგს:

1) გახსნა ახალი სასწავლებლებისა ყველა ვილაიეთებში (გუბერნიებში); 2) გაყვანა ახალი გზებისა და 3) სამუშაოთა გაჩენა ხალხის ქონებრივ წარმატებისთვის. 10 აპრილს სამინისტრომ მოიწონა, დაამტკიცა და მოახდინა სათანადო განკარგულება, რათა საზრი მოყვანილ იქმნას სისრულეში. ამის მეტი საყურადღებო არა მომხდარა-რა. პარლამენტის დათხოვის შემდეგ. მთავრობა, რასაკვირველია იმისთვისაც შრომობს, რათა არჩევნები მის სასურველად დასრულდეს.

მოსალოდნელია, რომ განახლებულ პარლამენტს საიდ-ფაშა ბევრ საყურადღებო საზრებს წარუდგენს. მათ შორის ყველაზე საყურადღებო არის ძირითად კანონის მე-35 თავის შეცვლის საზრი. ვნახოთ, როგორ შეხედავს პარლამენტი ამისთანა მეტად საყურადღებო და პრინციპიალურ არსებით საკითხს?

4.

### კუნძული კრიტოსი.

კრიტოსი დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს თავის შფოთიან მოქმედებით. დღეს ბევრსა სწერენ კრიტოსზე და ამბობენ, როგორც კი დროს იხელთებს, უეჭველად შეუერთდება თავის დედა ქვეყანა—საბერძნეთსო. მოგეხსენებათ, როგორც კრიტოსი, ისე საბერძნეთის სამეფოც 1830 წლამდე შეადგენდა ოსმალეთის ნაწილს. 1828 წელს მოხდა რუსეთ-ოსმალეთის ომი. ომს მოჰყვა **ადრიანოპოლის ზავი,** რომლის ძალითაც საბერძნეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადეს. ორი წლის შემდეგ, 1832 წელს, ახლად განთავისუფლებულ საბერძნეთში მოხდა სამოქალაქო ომი, რის შედეგიც იყო საბერძნეთის სამეფოდ გადაქცევა. საბერძნეთის ნაწილი კრიტოსი კვლავ ოსმალეთის ბატონობის ქვეშ იყო. 1866 წელს კრიტოელებმა მოახდინეს აჯანყება, მაგრამ ჰუსეინ-ივნიფაშას მხედრობამ ჩააქრო იგი, თუმცა კუნძულის ადგილობრივ მმართველობაში ცვლილება შეიტანეს, კრიტეს ბერძნები, რასაკვირველია ამით არ დაცხრნენ და 1897 წ. საბერძნეთ-ოსმალეთის ომით მიიღეს **თვითმმართველობა—ავტონომია.** აგერ 15 წელიწადია, რაც კრიტოსი ავტონომიურია, მაგრამ ამით არ კმაყოფილდება და კვლავინდებურად სურს საბერძნეთთან შეერთება. კრიტოსზე არის სარევოლიუციო პარტია, რომელსაც არა სურს დეპუტატების გაგზავნა ოსმალეთის პარლამენტში. ამბობენ: „ჩვენ საბერძნეთს ვეკუთვნით, ჩვენი დეპუტატებიც საბერძნეთის პარლამენტში უნდა იყვნენო!“ ამ ნიადაგზე მთელი აურ-ზაურია! მალე გაიხსნება პარლამენტები სტამბოლსა და ათინაში (საბერძნეთის დედაქალაქი). კრიტოელების უმეტესობას ახლავე სურს დეპუტატების საბერძნეთის პარლამენტში გაგზავნა, მაგრამ, როგორც ეხლა გამოირკვა, თვით საბერძნეთის მმართველი წრე ჯერ-ჯერობით მომხრე არაა დეპუტატების მიღებისა, რადგანაც მოსალოდნელია საქმის გართულება ბალკანეთში; მით უმეტეს ევროპის რამდენიმე სახელმწიფო მოვალეა დაიცვას ოსმალეთის ზემეფობა (სუზერენობა) კრიტოსზე. ეს გარემოებაა რომ აჩერებს, როგორც კრიტოელებს, ისე საბერძნეთს. დასრულდა არჩევნები კრიტესსა და საბერძნეთში, რომლის შედეგიც მკითხველთ ნათლივ აჩვენებს, თუ რაა მოსალოდნელი ახლო მომავალში? არის პარტია **ვენიზელისტების** (ვენიზელოსი დიდი ვეზირია საბერძნეთის), რომლებიც ჯერ-ჯერობით მომხრე არ არიან კრიტეს დეპუტატების მიღებისა. ვენიზელისტები არიან, როგორც საბერძნეთში ისე კრიტოსზე. არჩევნების შედეგი ასეთია:

კრიტოსზე: 25 ვენიზელისტი; 25 მიშელიდაკისტი და 19 დამოუკიდებელი. სულ 69 დეპუტატი.

საბერძნეთში: 147 ვენიზელისტი; 26 სხვა და სხვა ჯგუფის და 8 დამოუკიდებელი. სულ 181 დეპუტატი.

როგორც ხედავთ, საბერძნეთის პარლამენტში ვენიზელისტები დიდად სჭარბობენ დანარჩენებს, რომელნიც მომხრენი იყვნენ კრიტეს დეპუტატების მიღებისა. მაშასადამე მოსალოდნელი არ არის ამ საკითხის ამ დროებში გამწვავება.

დ. ჩიქოვანი.

სტამბოლი 2/15 აპრილი.

ებებს მომავალშიცო“. ღმერთმა ჰქნას, მაგრამ თამამად ვიტყვი, რომ წყლის ნაყვაა და სხვა არაფერი.

1906 წლიდან **უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს** გახსნა რაღაც მიზეზით არ მოქცეს, მაგრამ ბოლოს დროს წერა-კითხვის საზოგადოებას სთხოვეს და საზოგადოებამ თავის სახელზე დაგვიარსა. ზაფხულობით ახალგაზდა პირების დახმარებით ღოღიალობს სამკითხველო, ზამთრობით კი კარგს ვერას ვიტყვი. სახლი დაქირავებულია, ორ გაზეთს იწერენ რუსულ-ქართულს. არ ჰყავთ წევრები, არ ჰყავთ გამგე. წარმოიდგინეთ სად ჰკითხულობენ გაზეთებს, ბ. ხორავას მაღაზიაში და მის პირდაპირ კი დიდი „ვივესკა“ არის გამოკიდული და კლიტე დადებული სამკითხველოზე. ბ. გამგე ვიზედაც სამკითხველოს ფული არის დარჩენილი, რატომ არ მოატანინებთ? თუ თქვენ არ იცით, მოგახსენებთ თამამად. სამკითხველოს ფული არის რამდენიმე წელიწადი ბბ. გ. შ—ზე, ბ. მ. შ—ზე ბ. ი. ქ-ზე და სხვაზე. გთხოვთ შემოიტანოთ ის ფულები და ჟურნალ-გაზეთები აკითხოთ საზოგადოებას საცა სამკითხველოს შენობაა და არა ხორავას მაღაზიაში.

ყველაზე კარგად სურამის საზოგადო საკრებულო — **კლუბის** საქმე მიდის. ფულები ბლომად აქვთ, ბანქოს თამაში კარგ დონეზე მიდის და სხვა რამე, თუნდაც კულტურული დაწესებულება იყოს არაფერ ყურადღებას არ აქცევენ და როგორც ზემოდ ვთქვი, ხელსაც უშლიან. ეხლა ხომ სულ ბატონები იქნებიან სურამელებისა რადგან კარგ ადგილას გადმოაქვთ თავიანთ კლუბი. პროგიმნაზიის გამგეობამ დახმარება სთხოვა კლუბს. ცივი უარი. სამკითხველომ სთხოვა ცალკე ოთახი ან რამე შემწეობა, მასაც უარი. მიკვირს იმ პირებისა, ვისაც ესმის რა არის სკოლა, რა არის სამკითხველოს რა არის ლექცია, რა არის რეფერატი და რა არის სხვა და სხვა სალიტერატურო საღამოები, ყველა ამას არა სწყალობენ და გარს უვლიან—ნუ თუ არ მოგწყინდათ ბანქოს თამაში?

აქ კიდევ არსებობს **დრამატიული საზოგადოება**, რომელიც ერთ დონეზე მიდის. ხალხი არ ეკარება: „ეს საზოგადოება რამდენიმე პირს ეკუთვნისო და როგორც უნდათ ისე აწარმოებენო იმედია ამ საკითხს. ბ. მოთავე გამოარკვევს და სხვასაც ჩარევს საერთო ფერხულში. სურამის საზოგადოება ძალიან დამნაშავეა, ეკლესია არა აქვს და დღესასწაულებში გარედ უხდებათ დგომა სიცივეში. ამ საქმესაც მოწადინეობა და თაოსნობა უნდა. **იობი.**

## ლენის მუშათა გაფიცვა და დახოცვა

### დეპეშები

(სათათბირო საზოგადო კამათი).

სათათბირომ მინისტრთა ლაპარაკის შემდეგ დაადგინა, ახლავე შესდგომოდა მთავრობის განმარტების განხილვას.

**კუზნეცოვი** მადლობას ეუბნება მთლად რუსეთის მუშათა კლასის სახელით შინაგან საქმეთა მინისტრს წარმოთქმულ სიტყვის გამო. ეს სიტყვა საუკეთესო პროკლამაციაა და მინისტრმა ამ სიტყვით ჩემ მიერ წინა სხდომაზე თქმული სრულიად დაადასტურაო. სახელდობრ: მუშათა კლასს დახვრეტენ ყოველთვის და არც მერე მოაკლებენ დახვრეტასა, ვიდრე ეხლანდელი საპოლიტიკო წეს-წყობილება და ეხლანდელი მთავრობა იქნება. შემდეგ კუზნეცოვი უპასუხებს მინისტრს იმის გამო, ვითომც მუშებს ჯარისკაცთა იარაღის აყრა და მაღნების ნაცარტუტის ადენა ჰსურვებოდეთ. კუზნეცოვმა აღნიშნა: ლენის მუშები მარტონი არ ყოფილან, მთელი მუშათა კლასი მათ მხარესაა და ეს ხოცვა-ჟლეტა მთლად მუშათა შემაერთებელი და შემაკავშირებელი იქნება: ამნაირ ხოცვა-ჟლეტის თავიდან ასაცილებლად, მუშათა კლასმა უნდა შეჰქმნას ძლიერი ორგანიზაცია და დარაზმულად იბრძოლოს თანამედროვე რეჟიმის დასამხობადაო.

**გრაფი უვაროვი** აღნიშნავს, შეუძლებელია სამინისტროებს ლენის უბედურების თაობაზე მხოლოდ სამი მოკლე დეპეშა ჰქონდეთ, დარწმუნებული ვარ, სხვაცა აქვთ, უფრო ვრცელი და ნათლის მომფენი ამბისა, საჭიროა ეს დეპეშები სათათბიროსაც შეატყობინონო. მოლაპარაკე გაუკვირდება იმასაც, რატომ შინაგან საქმეთა მინისტრმა გუბერნატორის მოხსენებანი არ წაგვიკითხა, უეჭველად მოახსენებდა რასმე ამ მნიშვნელოვან საქმის გამოო. უვაროვმა აღნიშნა ტულჩინსკის დეპეშის მნიშვნელობა, მინისტერმა წაგვიკითხა დეპეშა, მაგრამ ის აღარ უთქვამს, რა მოხდა მას შემდეგ, როცა ტულჩინსკი ხალხს მიეგება გასაჩერებლადა. ამას, უეჭველია, ტულჩინსკი მოიწერებოდა. სათათბიროს წევრთა სინიდისის დასამშვიდებლად და საკითხის გადასაწყვეტად უეჭველად საჭიროა ამ საქმის საბუთების წარმოდგენა და გაცნობა ტულჩინსკის ყველა დეპეშისა. შემდეგ მოლაპარაკე აღნიშნავს: შინაგან საქმეთა მინისტერმა სთქვა, გაფიცვას საეკონომიო კი არა, საპოლიტიკო ხასიათი ჰქონდაო, ეს პირადი რწმენაა და საამისო საბუთი კი არა სჩანს.

დაგვიანების გამო მოლაპარაკემ სიტყვის დათავება მეორე დღის სხდომისათვის გადასდო.

## ჩინეთის რესპუბლიკა

### დეპეშები.

**კულჯა.** ილიის მხრის მთავრობამ პეკინისას აცნობა: პრეზიდენტ პუანის გადადგომა ხალხში უკმაყოფილებასა და დრტვინვას იწვევსო; თუმცა ჰუანი დაჟინებით მოითხოვს გადაყენებას, მაგრამ მთავრობა ვერ დათანხმებულა.

**ურგა.** ჩინელთა სიტყვით, აპრილის დამდეგს მონგოლებთან მოსალაპარაკებლად პეკინიდან სამი დესპანი წასულა ხარბინისა და კიახტის გზით ურგას. ამბობენ, ულიაიტის გზაზე, მონგოლეთის ჩრდილოეთ-დასავლეთს 100 მონგოლი დასცემია ჩინეთის ვაჭრების სადგომებსა, გაუძარცვავთ და გადაუწვავთ.

**სიმლა.** კალიმპონგში ტიბეტის დალაი-ლამის შიკრიკი ჩამოვიდა, შიკრიკი ამბობს: ჩინელები ლხასას ახლო გააქციესო. მისივე სიტყვით, მოლაპარაკებას მუსულმანთა ორგანიზაციის მეთაური აწარმოებს, ჩინელებს ჯერ ვერ გაუბედნიათ მიენდონ ტიბეტელებსა. ტიბეტლები ეუბნებიან, ჩვენი ხარჯით სიჩუანამდე წაგიყვანთ, ოღონდ მოგვშორდითო. დალაი-ლამის შიკრიკს ჩინელებისაგან გავრცელებული ცნობები ტიბეტლების დამარცხებისა, სიცილადაც არა ჰყოფნის.

3000 ტიბეტელმა, რხოზეს მიდამოს მცხოვრებმა, ქალაქი მათუნი აიღო; ბაზარი გაძარცვეს და ავღანელთა სამხედრო ბინა აიკლეს. გუბერნატორმა გაჰფანტა ხალხი, მაგრამ იგი ხელმეორედ შეგროვდა და გუბერნატორს ალყა შემოარტყა.

## ოსმალეთ-იტალიის ომი

### დეპეშები

**რომი.** „ტრიბუნა“ ოსმალეთის მემორან დუმის გამო სწერს: ტყუილია, ვითომც იტალიას ლიბიაში არაფერი აღლოს. მართალია არაბები იტალიელებს გვებრძვიან, მაგრამ ესენი მხოლოდ შუა უდაბურ ადგილთა ველური არაბნი არიან. ტყუილია, ვითომც ძლიერ ფლოტს იტალიისათვის ვერ ეშველნოს, ვერ გაებედვინებინოს გარდამწყვეტი ბრძოლის დაწყება: ფლოტს არ უმოქმედნია, რადგანაც ოსმალეთი ეცოდებოდა და უცხო სახელმწიფოთა ინტერესებისათვისა ზრუნავდაო.

„პოპოლო-რომანო“ სწერს: იტალია, ოსმალეთის პასუხის შემდეგ ფლოტის მოქმედებას განაახლებსო. ომი იმ პერიოდში გადადის, როდესაც იტალია ველარაფერს დაზოგავს და რაც მის ხელთაა, ყველა საშუალებით შეებრძოლება ოსმალეთსაო.

**სტამბოლი.** დარდანელში ჯერ ყველა ნაღმი (ვერ ამოუღიათ?) (მინისტრთა საბჭოს?) მეორედ ჰქონდა სხდომა დარდანელის გზის გახსნის გამო და ვერაფერი გადასწყვიტა, ელჩების პასუხს დავუცადოთ, რომელთაც სახელმწიფოებთან მოლაპარაკება აქვთო.

**რომი** „სტეფანის სააგენტო“ გადაჭრით უარჰყოფს, ვითომც იტალიელებს ეგეის ზღვაზე კუნძულნი ლემნოსი, თენედოსი და სხვანი აეღოთ.

იგივე სააგენტო უარჰყოფს ოსმალოთა მიერ გავრცელებულ ამბავს, ვითომც დერნასთან მომხდარ უკანასკნელ ბრძოლაში იტალიელებისათვის 150 კაცი დაეჭრ-დაეხოცოთ და გაქცეულიყვნენ. სააგენტო იუწყება, პირიქით, ოსმალნი დიდად დაზარალებულნი უკუ ვაქციეთო.

**ლონდონი** საზოგადოებათა პალატა. სტატს-სეკრეტარმა ოკლენდმა შემკითხველებს უპასუხა, იტალიისა და ოსმალეთისაგან უკვე მივიღეთ პასუხი შუამავლობის გამო, მაგრამ ჯერ არ განგვიხილავსო.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

### საზღვარ-გარედ.

13 აპრილი.

**ბულგარელი ყაჩაღები.**

**უსკიუბი.** ადვარალას ახლო ჟანდარმები ბულგარელ ყაჩაღებს წააწყდნენ. ექვსი ყაჩაღი მოჰკლეს, იპოვნეს ექვსი ჯოჯოხეთის მანქანა.

**როტშილდის მოკვლის განმზრახველი.**

**ლონდონი.** ოცი წლის კატორღა გადაუწყვიტეს იმ ბოროტმოქმედს, რომელმაც წინად როტშილდს რევოლვერი ესროლა.

**ლიბკნეხტი და რუსეთი.**

**ბერლინი.** ლანდტაგი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს სოციალისტმა ლიბკნეჰტმა რუსეთზე ძალიან მკვახედ ილაპარაკა, დაჰგმო გერმანია რუსეთთან განსაკუთრებულ ურთიერთობის გამო, ლიბკნეჰტმა სთქვა: რუსეთი ევროპაში, პრუსიას გარდა, ყველაზე ბარბაროსი და საზიზღარი სახელმწიფოაო.

თითქმის ესევე სთქვა სოციალისტმა შტრეესელმა.

თავმჯდომარემ ორთავეს წესიერება მოაგონა, განსაკუთრებით ლიბკნეჰტსა, რომელმაც მეგობარი სახელმწიფო შეურაცხჰყო.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დალვიცმა ცხარე პროტესტი განაცხადა პრუსიის მთავრობის სახელით. „რუსეთის სახელითაც, რუსეთის სახელითაცო“, იძახოდნენ სოციალისტები. ლიბკნეჰტის სიტყვების გამო სთქვა: დიდად სამწუხაროა ასეთი მოვლენა გერმანიის ერთ-ერთ პარლამენტში რომ მოხდაო (მოწონების ნიშანი გამოუცხადა ყველამ, სოციალისტებს გარდა, რომელნიც ხმაურობენ. მემარჯვენენი იძახიან: ლიბკნეჰტო, გაეთრიე, დაიკარგეთ აქედან! ხომ ეგა გსურდათ!)

**გერმანიის რეიჰსტაგში.**

**ბერლინი.** რეიჰსტაგი. ცენტრელების ბელადმა პარტიის სახელით წაიკითხა სამხედრო მინისტრის საწინააღმდეგო განცხადება, რაიც ეხებოდა დუელის საკითხს. პოსადოვსკიმ სამხედრო კანონ-პროექტების გამო სთქვა: საფრანგეთს ვერ დაუვიწყნია, რომ გერმანიამ ძველი საზღვრები აღადგინა, ინგლისს გერმანელი ვაჭარი თვალში ეჩხირება, რადგანაც ვაჭრობა აქამდე თავის მონოპოლიად მიაჩნდა. მაროკოს საკითხმა ორი დიდი ხნის მტერი დაუკავშირა ერთმანეთს: საფრანგეთი და ინგლისი. ამ კონცერტში ჩაერია რუსეთიც, რომელიც აქამდე ყოველთვის მშვიდობიანი მეზობელი ყოფილა, გერმანელები მშვიდობის მოყვარე ხალხია, მაგრამ თვალის აბმა საჭირო არ არის და მომავლისათვისაც უნდა ვიზრუნოთო.

სამხედრო კანონ-პროექტები საბიუჯეტო კომისიას გადასცეს, სადაც უეჭველია მოიწონებენ.

**სათემო არჩევნები.**

**ვენა.** ხელმეორედ კენჭის ყრის დროს სათემო საბჭოსათვის აირჩიეს შვიდი გლეხი სოციალისტი, სამი სოციალ-დემოკრატი და 1 გერმანელთა ლიბერალი. ქადაგების დროს, სოციალისტ გლეხთა მოქადაგემ ორჯერ ესროლა რევოლვერი სოციალ-დემოკრატთა მოქადაგეს, მაგრამ ააცდინა.

არ აურჩევიათ სოციალისტ გლეხთა ბელადი ბელოგლავეკი.

### რუსეთი

**320 კაცის სამართალში მიცემა.**

**ტომსკი.** სენატის რევიზიამ 162 საქმე აღძრა სამსახურის დროს უკანონობის გამო. სამართალში მისცეს ციმბირის გზის 320 აგენტი.

**ციმბირის ერობის საკითხი.**

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოს კომისიამ უარჰყო სათათბიროს პროექტი ციმბირში ერობის შემოღებისა.

**გაზეთის დაჭერა.**

**პეტერბურგი.** დაიჭირეს გაზეთ „ძიენიკ პეტერბურგსკი“-ს 12 აპრილის ნომერი, რედაქტორი 129 მუხლის მეექვსე პუნქტის ძალით სამართალში მისცეს.

**რონიკერის საქმე.**

**ვარშავა.** ორმა მოწმემ დაადასტურა, რონიკერი ამა და ამ დროს ლუბლინში ვნახეო, ბრალდების მიხედვით კი იგი ვარშავაში უნდა ყოფილიყო.

## თეატრი და ხელოვნება

**სალიტერატურო სამუსიკო დილა.** 15 აპრილს ტფ. მასწავლებელ ქალთა საზოგადოება სახალხო სახლში სალიტერატურო-სამუსიკო დილას გამართავს. პირველ განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებს ილია ნაკაშიძე, რომელიც წაიკითხავს ლექციას შემდეგს თემაზე: „ეგნატე ნინოშვილი“. შინაარსი გამოცხადებულია დღევანდელ გაზეთში.

**დღეს სახალხო სახლში** ა. ცაგარლის გარდაცვალებიდან ათი წლის თავზე, წარმოდგენილი იქნება განსვენებულის პიესა **„რაც გინახავს, ველარ ნახავ“** წარმოდგენის წინ ბ. გ. ახრახაძე გააცნობს დამსწრე საზოგადოებას ა. ცაგარლის ბიოგრაფიას. დასაწყისი საღ. 8 საათ.

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ჩემი გულითადი მადლობა გამოუცხადო ბატონთ: დავით საბასძე მაჭავარიანს და შიო მღვიმელს (ქუჩუკაშვილს), რომელთაც პირველმა გამოუწერა ამა წლის საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“, და მეორემ შემოსწირა 1892—1894 წლების ჟურნალი „ჯეჯილი“ და სხვა საყმაწვილო წიგნები ჩემდამო რწმუნებულ საყარაულოს სამინისტრო სკოლას.

საყარაულოს სამინისტრო სკოლის მასწავლებელი **ანნა ბაკურაძე.**

ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორმა ქ. ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისამ შემოსწირა ქართულ გიმნაზიასთან ახლად დაარსებულ უფასო სასადილოს 15 ცალი თამარ მეფის სურათი, რისათვისაც დიდ მადლობას უძღვნის ჩვენი საზოგადოება.

უფასო სასადილოს საზოგადოების თავმჯდომარე **ქნ. მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისა.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა

**ზამთრობით** (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)

(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

**ტფილისიდან გადის.**

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სამგზ. მატარებ. № 9/66, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:** 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბათომიდან;** ) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

**ბაქოდან:** 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან:** საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 5 ს. 40 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზ. № 61/70, I—II კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

### სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—ი **პ. ფოჩინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

### უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანიშვილი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

### გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე

(ზამთარში).

**რუსეთის საზოგადოებისა.**

**ბათომიდან გადის:** ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

**სახალხო გემები** ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

**სახალხო-საქონლის** გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაივლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

## განცხადებანი

### ფეხსაცმელები

**თომა დ. ჯანყარაშვილის**

**მაღაზია-სახელოსნოში.**

იყიდება ყოველნაირი ფეხსაცმელი ქალისა, კაცისა და ბავშვისა, აგრეთვე ვიღებთ შემოკვეთილადაც, ვამზადებთ საუკეთესო მასალისაგან ზომიერ ფასებში და ვასრულებთ პირნათლად. ადრესი: მუხრანის ქ., № 2.

(25—285—28)

ყოველ-დღე მოგვდის:

**ახალ-ახალი** ქვირითი 2 მ. 60 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, შამაია და ყოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—37)

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

„606“—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ,

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** .—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ვასარდიანი.**

(წ. 1074.57)

**ქ. გორში (ბედაბეთის მიდამოში)**

**იყიდება ან იძლევა იჯარით**

მშვენივრად შემოზღუდული ორი ხეხილიანი ვენახი—საკმარისი სარწყავი წყლით, ზომით ერთი 600, და მეორე 1200 საჟენი; თვითეულ მათში იმყოფება ქვიტკირის სახლი, სათონე—მარნით. ცნობებისათვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართოვა: ქ. **ტფილისში,** ნიკოლოზის ქ. № 75, **ა. თ-ძე მიროტინს, გორში—ფოტოგრაფ ქარუმიძეს.** (10.3.9.8)

**მსურს იჯარით აღება**

**მამულისა** ტფილისის გუბერნიაში (უსათუოდ სარწყავი) ტყით და სახლკარით, რკინის გზის სადგურზე დაშორებული 5—6 ვერსით, ან ტფილისზე შოსეთი—30 ვერსით. წინადადება გამოიგზავნება: Тифл. почт. кред. 3-х руб бум. № 328510.

(2—1201—2)

**სუსუნატის წინააღმდეგ ახალი წამალი**

**„SALO—პიჩილინი“**

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით ზონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.

მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ ღენასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ, разъѣжая. № 7 аптека Г. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნარდად სააფთიაქო საწყობებში. Метиль 23672.

(წ. 1161.5)

თევზის მრეწველნი

**ძმ. ძებველოვები.**

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება ქართველი მწერლების შემდეგი ლექსები და პოემები:**

| | |
|---|---|
| არჩილ მეფე. ცხოვ. მეფე თეიმურაზ პირველისა | 50 კ. |
| ბარათაშვილი. ლექსები. გამოც. მერკვილაძისა | 40 „ |
| ბაჩანა. დიაკვნიანი | 20 „ |
| ბესიკი. ლექსები | 30 „ |
| განდეგილი. ლექსები | 50 „ |
| გრიშაშვილი. ოცნების კოცნა | 10 „ |
| გურამიშვილი. დავითიანი | 1 მ. „ |
| გურიელი მამია თხზ. | 1 „ „ |
| დადიანი ნ. ტ. საამდროვო გამოცანები | 15 კ. |
| დუტუ-მეგრელი I | 70 „ |
| „ მწარე ფიქრები | 20 „ |
| ევდოშვილი ლექსები | 60 „ |
| ერისთავი რაფიელ I ტ. | 1 მ. „ |
| „ „ II ტ. | 40 კ. |
| ვეფხის ტყაოსანი | 60 „ |
| ვაჟა-ფშაველა. თხზ. | 1 მ. „ |
| „ ახუნდი | 5 კ. |
| „ ცრემლები | 50 „ |
| თეიმურაზ მეფის ლექსები | 30 „ |
| ორბელიანი გრ. ლექს. | 20 „ |
| ორბ. „ ვახტანგ | 60 „ |
| „ ნინო | 30 „ |
| „ოჰ, მარგალიტავ“ ნ სხ. სასიმღ. | 10 „ |
| პატარა კრებული საუკეთესო ლექსებისა. | 15 „ |
| პოემების კრებული. | 5 „ |
| რაზიკაშვილი ნ. დაბადება და აღზრდა მეფე ერეკლესი. პოემა | 15 „ |
| სილოვანი. ჩემი აზრი და ფიქრები № 1. | 20 „ |
| „ ცხოვრ. სურათები № 2. | 20 „ |
| „ აღსარება № 3. | 5 „ |
| „ ლექსები 1878—1891. | 50 „ |
| „ სიმები | 5 „ |
| ქართვ. პოეტ. რჩეული ლექსები | 25 „ |
| ჩახრუხაძე. ქნარი | 20 „ |
| შანშიაშვილი. შვების თავადი | 60 „ |
| „ ქება-ქებათა სულამიტ. | 10 „ |
| ცახელი. რამდენიმე ლექსი | 15 „ |
| ცისარტყელა. სალიტერატურო კრებული. | 15 „ |

ადრესი: Тифлисъ. О-во распространенія грамотности. წ.—1141—25)

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.